ნაბეჭდი თაბახი 1,5
სააღრ.-საგამომც.თაბახი 1,12
უფასო

შეკვეთა 422 ტირაჟი 50

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, 380028,
თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ. 1.

4.
ლ-722

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რუსუდან გურამის ასული დოლიძე

# სამეცნიერო სტატიის კომპოზიციურ-აზრობრივი ორგანიზაცია

(ინგლისური და ქართული ენების მასალის მიხედვით)

10.02.04 - გერმანიკული ენები

## სადისერტაციო მაცნე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი - 1995

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლ.მეცნ.კანდიდატი, დოცენტი
ლ.გამსახურდია

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლ.მეცნ.დოქტორი, პროფესორი
მ.პაიჭაძე
ფილოლ.მეცნ.კანდ.,დოცენტი
გ.ლეჟავანიძე

დისერტაციის დაცვა შედგება "20" ნოემბერს 1995 წ. "1400 საათზე თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს P10.02CN10-10 სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ.1, თსუ,
აუდიტორია 93

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

"სადისერტაციო მაცნე" დაიგზავნა "19" ოქტომბერს 1995 წ.

სპეციალიზებული საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლ.მეცნ.კანდიდატი, დოცენტი: მ.რუსეიშვილი

-1513-



დისერტაცია ეძღვნება საჟურნალო "სამეცნიერო სტატიის" კომპოზიციურ-აზრობრივი აგებულების გამოკვლევას ინგლისური და ქართული ენების მასალაზე. კვლევის ობიექტია "სამეცნიერო სტატიის" კომპოზიციური მოდელი, სტატიის ტექსტის შეჭიდულობა და კომპოზიციურ-სამეტყველო ფორმები.

აქტუალურობა. მოცემული გამოკვლევის აქტუალურობა განპირობებულია საჟურნალო სამეცნიერო სტატიის, როგორც სამეცნიერო სფეროში ენის პრაქტიკული გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ფორმის, კომპოზიციურ-აზრობრივი თავისებურებების გამოვლენის თეორიული აუცილებლობით, კერძოდ, ქართული და ინგლისური ენების მასალაზე. კომპოზიციის ერთეულები - კომპოზიციურ-სამეტყველო ფორმები, ირეკლავენ რა ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, გამოდიან ერთის მხრივ, ნებისმიერი ტექსტის სტრუქტურის შემადგენლებად, და მეორეს მხრივ, წარმოადგენენ დასრულებული სამეტყველო ნაწარმოების ელემენტებს. კომპოზიციურ-სამეტყველო ფორმები განსაზღვრავენ მთლიანად ტექსტის წარმოქმნისა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს.

კომპოზიციურ-სამეტყველო ფორმების შესწავლისას წარმოიქმნება პრობლემათა მთელი რიგი, რომლებიც მოითხოვენ კონკრეტულ გადაწყვეტას, კერძოდ, კომპოზიციურ-სამეტყველო ფორმების გამიჯვნა და კლასიფიკაცია, ცალკეული კომპოზიციურ-სამეტყველო ფორმათა საზღვრების დადგენა. ამასთან დაკავშირებით, უდავოდ აქტუალურია სამეცნიერო ტექსტის კომპოზიციისა და კომპოზიციურ-სამეტყველო ფორმების გამოკვლევა არამონათესავე ენების მასალაზე.

დისერტაციის ძირითადი მიზანია "სამეცნიერო სტატიის" ჟანრის ორგანიზაციის კომპოზიციურ-აზრობრივი გამოკვლევა და შესაბამისი ჟანრობრივი მოდელის აგება, არამონათესავე ენებში სამეცნიერო სტატიების კომპოზიციურ-აზრობრივი ორგანიზაციის ზოგადი თავისებურებების თანამიმდევრული განხილვის საფუძველზე. ამასთან დასახულია შემდეგი ამოცანები:

- "სამეცნიერო სტატიის" კომპოზიციური მოდელის შექმნა ჟანრობრივ საფუძველზე.
- "სამეცნიერო სტატიის" კომპოზიციურ-აზრობრივი ორგანიზაციის შედარება ინგლისურ და ქართულ ენებში.
- სამეცნიერო სტატიებში ტექსტის შინაგანი შეჭიდულობის საშუალებების გამოვლენა.

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков